პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

მებრძოლი გუშაგი
БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 33 (2025) 24 აგვისტო, პარასკევი 1984 წ. ფასი 2 კაპ.

პარტიის რიგების იდეური სიმტკიცის, სიწმინდისა და სიმკვიდრისათვის

საქართველოს პარტიული აქტივის კრება

17 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიული კომიტეტების მდივნები და საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, მთელი რიგი პარტკომისიისა და დიდი პირველადი ორგანიზაციების მდივნები, პარტიული კომისიათა თავმჯდომარენი, საკონტროლო და სამართალდამცველი ორგანოების, „კომკავშირული პროჟექტორების", სახალხო კონტროლის ხელმძღვანელები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები.

კრების მონაწილეებმა განიხილეს საკითხი „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებათა, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებათა შესაბამისად კონტროლისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის საქართველოს პარტიული ორგანოების პარტიულ კომისიათა მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ".

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ე. ა. შევარდნაძემ.

მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარის შ. ვ. ყარყარაშვილის მოხსენება.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ვ. ა. ჩომახიძე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ო. ვ. მელქაძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ლ. დ. უჩანეიშვილი, პარტიის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი ა. ი. აზიროვი, საქართველოს სსრ პროკურორი ა. მ. ბარაბაძე და სხვ.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ს. გუსტოვმა.

აქტივის კრების მონაწილეებმა საკონტროლო ორგანოების ყველა მუშაკს, აქტივისტს გაუგზავნეს მიმართვა, რომელშიც დასახულია რეკომენდაციები პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, ყოველგვარ ნეგატიურ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდება მიანიჭა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ამიერკავკასიის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საოლქო სამმართველოს უფროსს გიორგი ისიდორის ძე მახარაძეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ქ. ტყიბულის № 136 ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი-პედაგოგი, მოწინავე სახალხო რაზმელი ჯუმბერ კონსტანტინეს ძე აბესაძე დაჯილდოებულია მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში საუკეთესო სამსახურისათვის".

რესპუბლიკის კურორტებზე

ახლა გაცხოველებული საკურორტო სეზონია.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა კურორტმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ასეთთა შორისაა კურორტი საირმე, სადაც ჯანმრთელობას იკეთებენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მშრომელები.

შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებმა კარგად იციან, რომ კურორტზე ჩამოსულ სტუმრებს ისეთი პირობები უნდა შეუქმნან, რომ მადლიერების გრძნობით მოიგონონ გატარებული დღეები. ასეთ ვითარებას კი წესრიგის დამცველთა დაუღალავი შრომა და დიდი ზრუნვა სჭირდება.

განსაკუთრებით მომზადებული შეხვდა საკურორტო სეზონს მაიაკოვსკის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკები (უფროსი, მილიციის კაპიტანი ა. კიკნაველიძე). ახლა დიდ ყურადღებას უთმობენ მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ყველა ძალისა და საშუალებების მაქსიმალურ მობილიზებას სამართალდარღვევების აღსაკვეთად.

კურორტ საირმეში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უნარიან ხელმძღვანელობას უწევს უბნის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი თამაზ მაღლაკელიძე. იგი სამ რიგით თანამშრომელთან ერთად მიმდინარე წლის მარტის თვიდან ემსახურება კურორტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას. უნდა აღინიშნოს, რომ სეზონის დაწყებიდან მის სამოქმედო უბანში სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია. უბნის ინსპექტორის სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მან მაიაკოვსკის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებთან ერთად ოპერატიული ღონისძიებების გატარებით დააკავა ძებნილი გაურელი, რომელიც ორი წლის განმავლობაში, როგორც ალიმენტის ურჩი გადამხდელი, მიმალვაში იმყოფებოდა.

უბნის ინსპექტორი დღენიადაგ დამსვენებლებთან ტრიალებს, ანაწილებს მათ ტკივილსა თუ სიხარულს. ამ სურათზე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როდესაც თ. მაღლაკელიძე დამსვენებლებთან საუბრობს.

ნ. ოტიაშვილი
ფოტო ავტორისა.

დავამყაროთ წესრიგი გზებსა და გზაჯვარედინებზე

ᲛᲘᲢᲐᲓ არასასიამოვნო, შემაწუხებელი, მძიმე მდგომარეობა შექმნა რესპუბლიკის საავტომობილო გზებსა და გზაჯვარედინებზე. საქმის ვითარება მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვის თვალსაზრისით იმდენად სერიოზული და შემაშფოთებელია, რომ ამ ფაქტმა არ შეიძლება ვინმე დატოვოს გულგრილი.

დროა საავტომობილო ტრანსპორტზე დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის, საიმედო უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფისა და ქუჩებში და გზებზე სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის გამოვაცხადოთ საყოველთაო სახალხო ლაშქრობა.

საკითხის ასე დაყენება სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ვინმე აკნინებდეს ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებს. პირიქით, შემუშავებულია და მოქმედებს უსაფრთხო საგზაო მოძრაობის უზრუნველყოფის, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობისა და მათ მიერ გამოწვეული მძიმე შედეგების შემცირების პრობლემების მართვის სისტემა. მოძრაობის ინტენსიურობის რეგულარული ზრდა გვიჩვენებს, რომ ბევრი მძღოლი არ არის მომზადებული ფსიქოლოგიურად, ჯეროვნად ვერ აფასებს წესების თუნდაც ოდნავ დარღვევასთან დაკავშირებულ დიდ საშიშროებას, რასაც ხშირად უბედურებამდე მივყავართ. ყოველდღიურად, საშუალოდ, ჩვენში ხდება რვა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რის გამოც თავს ოჯახს ველარ უბრუნდება 3 კაცი, ხოლო 10 საავადმყოფოში ხვდება. ბოლო ათ წელიწადში სიცოცხლეს გამოესალმა 9 ათასი მგზავრი და ქვეითად მოსიარულე, დაშავდა 37 ათასი კაცი, მათ შორის ასობით ბავშვი. ყოველდღიურად, მშვიდობიან, უღრუბლო ცის ქვეშ რამდენიმე ოჯახის კარზე სიკვდილი აკაკუნებს.

სახელმწიფო ავტოტრანსპორტის წილად რესპუბლიკაში არსებული ავტომობილების მხოლოდ 28 პროცენტი მოდის. მიუხედავად ამისა, საგზაო შემთხვევების 40 პროცენტი სახელმწიფო ავტომობილებს მიეწერება.

ეს სამეურნეო ხელმძღვანელობის მიერ მომთხოვნელობის შესუსტების ბრალია. წლეულს სახელმწიფო ავტოინსპექციამ მძღოლთა ხენების გზებზე ღამით 600 სახელმწიფო მანქანა აღმოაჩინა.

საკუთარი მანქანის მფლობელთა უდისციპლინობის, უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის გამო მთელი ავარიების მეხამედი მოდის. მათი „წყალობით" ბოლო ხუთ წელიწადში 8.200 საგზაო შემთხვევის და აქედან გამომდინარე 2.180 კაცის დაღუპვისა და 11 ათასის დაშავების მოწმენი გავხდით. ყველაფერი ეს პირდაპირ უკავშირდება წესრიგის, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის შესუსტებას, განა შეიძლება, შევურიგდეთ იმ ფაქტს, რომ საგზაო შემთხვევათა მეხუთედი სამუშაო დროის ხდება?

დღის საათებში ქუჩები, შარაგზები გადატვირთულია ინდივიდუალური ტრანსპორტით, მაგრამ მათ არავინ აკონტროლებს.

უხასიათო, შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს სიმთვრალის დროს საჭის მართვას. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ მარტო უკანასკნელ წელიწად-ნახევარში სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებმა 22 ათასი მთვრალი მძღოლი დააკავეს და, ძირითადად ინდივიდუალურ მანქანათა მფლობელები.

მთვრალი მძღოლი პოტენციური მკვლელია და ამიტომ დროზე უნდა გავაჩეროთ იგი, არ მივცეთ დანაშაულის ჩადენის საშუალება. არავითარი შეწყალება მათ!

მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა, ამაში ქვეითად მოსიარულენი რომ გვეხმარებოდნენ. მაგრამ ასა, რა დახმარებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა შემთხვევათა 20 პროცენტი მათი დანაშაულით ხდება. ქვეითად მოსიარულეთა მიზეზით ბოლო ხუთ წელიწადში 1350 საგზაო შემთხვევა მოხდა, რის გამოც დაიღუპა 815 და დაშავდა 1180 კაცი.

მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საგზაო შემთხვევათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოძრაობის წესებისა და მანქანის მართვის უცოდინარობით ხდება. მძღოლთა სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის უნდა ავამაღლოთ მომთხოვნელობა მასწავლებელთა შემადგენლობისადმი, ძირეულად აღმოვფხვრათ იმ პირებისათვის მანქანების მართვის უფლების მოწმობათა გაცემის შემთხვევები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს.

რესპუბლიკის კომუნისტების, კომკავშირლების, მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისად საჭიროა წლევანდელ დაიწყოს პროფესიონალ და მოყვარულ მძღოლთა მთელი შემადგენლობის ხელმეორე ატესტაცია. მართვის უფლება ექნება იმას, ვინც ბრწყინვალედ ერკვევა მოძრაობის წესებში.

მოძრაობის უსაფრთხოების დაცვაში სახელმწიფო ავტოინსპექციის მნიშვნელობას კომენტარი არ სჭირდება. საზოგადოებას მიაჩნია, რომ ინსპექცია ვერ იჩენს საკმარის თანამიმდევრობას და პრინციპულობას წესრიგის დამრღვევთა მიმართ. ვიდრე ბოლო არ მოეღება მოძრაობის წესების დამრღვევთა მიმართ პროტექციას, ლიბერალიზმს, მძღოლისა და ავტოინსპექტორის შორის „გარიგებას", ავარიების შემცირებაზე სერიოზული ლაპარაკი ზედმეტია.

ამჟამად, წინა პლანზეა წამოწეული ავტოინსპექციის რიგების შემოწმებული, პატიოსანი, ერთგული კადრებით განმტკიცების პრობლემა, მათი მორალური სიწმინდე. პარტიულმა კომიტეტებმა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პოლიტგანყოფილებებმა, სახელმწიფო ავტოინსპექციის ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად უნდა აამაღლონ მოთხოვნა ინსპექციის თანამშრომლების მიმართ და მკაცრად დასაჯონ ისინი სამსახურებრივი მოვალეობისა და სოციალისტური კანონმდებლობის ნორმების დარღვევისათვის.

საკმაო რაოდენობის შემთხვევები საავტომობილო გზების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობასაც უკავშირდება. ზოგან გზების განვითარება — სრულყოფა საგრძნობლად ჩამორჩება საავტომობილო პარკის ზრდის ტემპს. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს გზების სანიმუშო მდგომარეობაში მოყვანას.

უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

ამჟამად, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში მაღალი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი აქტიურობის ნიშნით იმსჯელებენ ამ საკითხზე. უნდა გაიმართოს [illegible] სჯა-ბაასი იმაზე, თუ ვინ რა წვლილს შეიტანს ამ აქტუალური პრობლემის გადაწყვეტაში, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ავტომობილი ადამიანის ნამდვილი თანაშემწე იყოს შრომაში, ცხოვრებაში, დასვენებაში. რა ვქმნათ იმისათვის, რომ ზოგიერთის ხელში ავტომობილი თანაშემწე კი არა, პოტენციური მტერი და უბედურების მომტანი არ გახდეს.

იბეჭდება შემცირებით
გაზეთი „კომუნისტი", 19 აგვისტო

სიტყვა კომუნისტზე

არიან ადამიანები, რომლებიც პირნათლად ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, დაუღალავ იღწვიან კოლექტივის, ორგანიზაციის საკეთილდღეოდ, ძალას და ენერგიას არ იშურებენ წარმატების მოსაპოვებლად. მაღალი ადამიანური თვისებებით სამაგალითონი არიან საზოგადოებასა და ოჯახში. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება სახანძრო დაცვის ვეტერანი მუშაკი, სკკპ წევრი 1957 წლიდან შოთა დომენტის ძე სალუქვაძე, რომელიც ფოთის პროფესიონალურ სახანძრო დაცვას მეთაურობდა სამოციან წლებში.

მისი დიდი ადამიანური თვისებები, საზოგადოებაში თუ ხელქვეითებთან თავმდაბლობა, საქმის ღრმა ცოდნა და უბრალოება ყველას ხიბლავდა მათ, ვინც კი იცნობდა და იცნობს შოთა სალუქვაძეს. დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ფოთის სახანძრო დაცვის ჩამოყალიბების საქმეში. ყველამ კარგად იცის თუ რა უშრეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით იღწვოდა ეს ადამიანი სახანძრო რაზმის პროფესიული დაოსტატებისათვის, აღწევდა კიდეც მიზანს. მას ენდობოდნენ, უყვარდათ, სჯეროდათ, სწამდათ მისი პატიოსნების. ეს თვისება როგორც ყოველთვის, დღესაც სრულად შეესაბამება კომუნისტს, შინაგანი სამსახურის კაპიტანს შ. სალუქვაძეს, რომელიც უკვე თხუთმეტი წელია, რაც მახარაძის რაიონის სახანძრო დაცვას ხელმძღვანელობს. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო სიგელებით და მედლებით.

შ. სალუქვაძე თავისი უანგარო, თავდადებული შრომით, ცხოვრებისეული და პროფესიონალური გამოცდილებით კვლავაც დიდ სამსახურს გაუწევს რაიონის სახანძრო დაცვის განმტკიცების საქმეს.

ლ. მოდუა

მეტი პასუხისმგებლობით

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს სოც. საკუთრების დაცვის შემდგომი გაძლიერების საქმეს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1983 წლის 3 დეკემბერს გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვით ში ორგანოებს დაევალათ კონკრეტული ამოცანები სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების მიზნით.

არასაუწყებო დაცვის სამმართველოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა სამსახურებთან ერთად შემუშავებული აქვს ერთობლივი გეგმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში არასაუწყებო დაცვის ქვეშ მყოფი სამრეწველო ობიექტებიდან დაცვის მუშაკების მიერ გამოვლინდა ათასობით წვრილმანი დატაცების ფაქტი, ხოლო სამეურნეო ორგანიზაციებს დაუბრუნდათ 25200 მანეთზე მეტი მატერიალური ფასეულობა, რაც 418 ერთეულით მეტია 1983 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო გამოვლენის 50 პროცენტი მოდის ისეთ ობიექტებზე, რომლებიც ეკუთვნის კვების, ხორცისა და რძის, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს. ასეთი სახის დანაშაულს ამ საწარმოებში არ ექნებოდათ ადგილი, მოწოდების სიმაღლეზე რომ ყოფილიყვნენ ობიექტის ხელმძღვანელები, სახალხო კონტროლის ჯგუფები და რაც მთავარია, ში ორგანოების და მათ შორის არასაუწყებო დაცვის განყოფილების მუშაკები.

დღეისათვის არასაუწყებო დაცვის სამმართველოს დაცვის ქვეშ იმყოფება 12227 სახალხო მეურნეობის ობიექტი, ელექტრო-სახანძრო სიგნალიზაცია დანერგილია 12405 ობიექტზე, რაც დასაცავი ობიექტების 97,8 პროცენტს შეადგენს, მოქალაქეთა 30956 ბინაში დამონტაჟებულია დაცვითი სიგნალიზაცია, აქედან 11 756 ბინა დაცულია ცენტრალური სამეთვალყურეო პულტის საშუალებით.

ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს ობიექტების ცენტრალური სამეთვალყურეო პულტზე ჩართვა და მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინების ოპტიკურ-ელექტრო-დაცვითი სიგნალიზაციის საშუალებებით ქ. თბილისის საქარხნო რაიონში, ოჩამჩირეში, სიღნაღში, სამტრედიაში, გორში, ხაშურში და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

დიდ მუშაობას ეწევა არასაუწყებო დაცვის სამმართველოს ქვეგანყოფილება სახელმწიფო ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში. საანგარიშო პერიოდში, ე. ი. მიმდინარე წლის 7 თვეში ღამის მილიციის მარშრუტებზე აღკვეთილ იქნა სახელმწიფო ქონების, ქურდობის მცდელობის ფაქტები. ში განყოფილებებში წარმოდგენილია 11534 საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი, სოც. საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციისათვის აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, აღკვეთილ იქნა 18 ხანძარი.

მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში რეგისტრირებულია დასაცავი ობიექტებიდან სახელმწიფო ქონების ქურდობის ფაქტები, რაც 2 ერთეულით ნაკლებია 1983 წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

ზემოთაღნიშნულ სამართალდარღვევათა ხელშემწყობი მიზეზები საფუძვლიანად იქნა შესწავლილი რესპუბლიკის ში სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების მიერ და იმ თანამშრომელთა მიმართ, რომლებმაც გამოიჩინეს დაუდევრობა სამსახურებრივი მოვალეობისადმი, გატარებულ იქნა მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პრინციპულად იმსჯელა და მკაცრი შეფასება მისცა საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოს მუშაობას, მკაცრად და სამართლიანად გააკრიტიკა როგორც სამმართველოს ცენტრალური აპარატის, ისე ქ. თბილისისა და რაიონული ქვედანაყოფების სუსტი მუშაობა, იმსჯელეს არასაუწყებო დაცვის სამსახურის ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, რომლებიც ვერ პასუხობენ პარტიის თანამედროვე მოთხოვნებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოთქმული მითითებები, რეკომენდაციები შემდგომი მუშაობის ორიენტირი იქნება არასაუწყებო დაცვის მუშაკებისათვის, რაც უზრუნველყოფს სოციალისტური ქონების საიმედო დაცვის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

КОМСОМОЛ — ВЕРНЫЙ ПОМОЩНИК ПАРТИИ

Недавно политический отдел УВД Тбилгорисполкома обсудил работу первичной парторганизации подразделения по охране гособъектов и учреждений УВД Тбилгорисполкома по осуществлению руководства комсомолом.

В подразделении вопросам осуществления руководства комсомолом парторганизация должного внимания не уделяет. В период подготовки и проведения отчетов и выборов в комсомоле партбюро не рассмотрело вопрос об участии партийного актива в этой важнейшей кампании, не приняло решения о рекомендации в руководящие комсомольские органы молодых коммунистов.

Такой мощный рычаг партийного влияния на молодежь, как непосредственная работа молодых коммунистов в комсомоле, используется крайне слабо. Эта задача не решается и за счет отбора лучших активистов — членов ВЛКСМ. За последние пять лет по рекомендациям комсомольских организаций в партию не принят ни один член ВЛКСМ.

Руководство и парторганизация не выносят вопросы работы комсомольских организаций на семинары командиров, политработников и секретарей парторганизаций.

Поэтому многие из них стоят в стороне, не принимают никакого участия в работе с молодежью.

На партийном собрании, которое обсуждало вопрос «О работе комсомольской организации подразделения и задачах „дрторганизации», все секретари комсомольских организаций заявили, что серьезные недостатки в их работе обусловлены полным отсутствием руководства со стороны парторганизации и тем, что ни комитет комсомола УВД, ни партбюро учебу комсомольского актива не организуют.

Собрание этот вопрос обсудило крайне формально, без глубокого анализа состояния комсомольской работы и уровня партийного руководства комсомолом. В обсуждении вопроса не принял участия ни один секретарь парторганизации или член бюро. Выступили лишь секретари комсомольских организаций и политработники отделений. Принятое собранием постановление не содержит ни одного конкретного пункта или задания парторганизациям по улучшению руководства комсомолом. Оно, в основном, адресовано самим комсомольским организациям и требует изжить недостатки. Какие, конкретно не указано.

В течение отчетного периода партбюро подразделения не заслушало ни одного секретаря партийной или комсомольской организации по вопросам воспитательной работы с молодежью. Здесь не практикуется привлечение комсомольских активистов к участию в открытых партсобраниях. Никакая работа не проводится с коммунистами П. Мамедовым и З. Цавелидзе, избранными членами бюро комсомольских организаций отделений. Их никто не учит, заданий не дает, отчета не требует. Вся их работа в комсомоле ограничивается лишь пассивным участием в заседании бюро.

Низким уровнем партийного руководства обусловлены ряд крайне серьезных недостатков в работе комсомольских организаций подразделения.

На протяжении 8 месяцев, после отчетно - выборного собрания, проведено лишь одно общее комсомольское собрание, на котором с докладом выступила секретарь комсомольского бюро сержант милиции Д. Иобашвили.

Заседания комсомольского бюро проходят формально. В числе присутствующих членов бюро в ряде случаев указываются фамилии комсомольцев, находящихся в отпусках, командировках и даже переведенных в другие подразделения.

Более половины рассмотренных на бюро проблем составляют вопросы утверждения планов на очередной месяц или персональные дела комсомольцев.

Комсомольские организации не планируют и не проводят индивидуальной работы с молодыми сотрудниками, ограничиваются лишь рассмотрением персональных дел провинившихся членов ВЛКСМ.

Повседневная жизнь ставила перед комсомольскими организациями массу проблем. Однако, отсутствие повседневного партийного руководства, неумение из многих проблем выбрать главную, приводило к тому, что огромное количество времени затрачивалось на рассмотрение второстепенных, часто надуманных вопросов, а конкретные вопросы не находили места для обсуждения и принятия по ним решения.

Предметом серьезного изучения и обсуждения не стали и серьезные недостатки в идейно-воспитательной работе. Полная бездеятельность комсомольской организации привела к тому, что только за последние полтора года личным составом совершены ряд грубых нарушений дисциплины и уголовно наказуемых преступлений.

К 12 годам лишения свободы осужден бывший комсомолец рядовой Х. Исмаилов за изнасилование несовершеннолетней.

К уголовной ответственности привлечены и осуждены на длительные сроки милиционеры рядовой Г. Михелидзе и бывший член ВЛКСМ сержант Т. Сотнев за вымогательство и получение взятки.

Многие сотрудники наказаны за пьянки, самовольное оставление поста, невыход на службу. Однако, вопросы дисциплины, соблюдения социалистической законности не находили места в планах работы комсомольских организаций.

Как показало обсуждение вопроса в политотделе, ряд серьезных недостатков в работе комсомольских организаций обусловлены упущениями в работе заместителя начальника по политической части, идеологического актива подразделения.

Партийным, комсомольским организациям необходимо в корне перестроить свою работу с молодежью, положив в ее основу положения, выводы и установки, изложенные в речи Генерального секретаря ЦК КПСС, Председателя Президиума Верховного Совета СССР товарища К. У. Черненко на Всеармейском совещании секретарей комсомольских организаций.

Партийному бюро подразделения, парторганизациям отделений необходимо постоянно совершенствовать формы и методы руководства комсомолом, в ходе подготовки отчетов и выборов в комсомоле рекомендовать лучших молодых коммунистов в руководящие комсомольские органы, проявлять постоянную работу о приеме в партию лучших комсомольцев, увеличении числа коммунистов, работающих в комсомоле, укреплении в нем партийного ядра, постоянно заслушивать на заседаниях партбюро отчеты командиров подразделений, секретарей партийных организаций и партгруорг-ч они направляют работу комсомольских организаций на политическое и нравственное воспитание молодежи, решение оперативно - служебных задач.

О. ГОКАДЗЕ,
начальник политотдела УВД г. Тбилиси, полковник в/с.

БЕРЕГУТ ПОКОЙ ГОРОДА

Вечерний Тбилиси шумел праздничным весельем. На улицах царило оживление, а в оперативный штаб добровольной народной дружины уже не раз поступали сигналы о каком-либо происшествии. И каждый раз на помощь людям приходили народные дружинники машиностроительного завода имени 26 комиссаров.

В штаб дружины сообщили, что некий гражданин Г. вооружившись скальпелем, угрожает своей жене. На место происшествия немедленно отправились дружинники завода. Первым в квартиру вошел начальник сборочного цеха Гиви Генеташвили и молниеносным движением выбил скальпель из рук разъяренного супруга.

— В нашей дружине, — рассказывает начальник производства командир добровольной народной дружины Важа Акакиевич Комахидзе, — все ребята — молодцы! На работе пример показывают и на дежурство идут с охотой. Каждый из них знает, что им доверено важное и ответственное дело.

— Не было еще случая, чтобы, отстоив смену, кто-нибудь из 45 дружинников не вышел на дежурство, — говорит Важа Акакиевич.

Надежными защитниками спокойствия людей зарекомендовали себя дружинники Илья Чачава, Шота Томашвили, Резо Мерабов, Шамиль Майсурадзе, Михаил Тайнов, Отари Сулаберидзе, Коба Агладзе и другие.

Коба Агладзе. Он всегда первым приходит на помощь людям, потому, что сам не терпит расхлябанности, насилия и несправедливости. Суровый климат Сибири научил Кобу выдержке и твердости характера. А вообще он — романтик. Мечтает «засеять» всю землю городами такими, как родной Тбилиси, куда он вернулся недавно с дипломом инженера.

...В больших и малых заботах проходят будни коллектива завода. Тбилиси в ожерелье новостроек. Тесният степные окраины громадные микрорайоны и крупные заводы. В их строительство весомый вклад вносит коллектив завода им. 26 комиссаров. В рабочее время он строит машины, а вечерами бережет покой горожан.

К. ХАРАСАНОВ.

საპასპორტო რეჟიმის განმტკიცებისათვის

საპასპორტო რეჟიმის დარღვევა, როგორც ცნობილია, უარყოფითად მოქმედებს სისხლის სამართლის დანაშაულობასთან ბრძოლაში გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის განხორციელებაზე. საეჭვო პიროვნებები, რომლებიც ქალაქში ჩაუწერავად ცხოვრობენ და შინაგან საქმეთა ორგანოების უყურადღებობით სარგებლობენ, ხშირად სჩადიან სამართალდარღვევასა და სისხლის სამართლის დანაშაულს ჩადიან.

ჩვენს მუშაობაში ცოტა როდია ისეთი მაგალითი, როცა საპასპორტო რეჟიმის შემოწმებამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ალიმენტების ურჩი გადამხდელები და სახელმწიფო დავალიანების მქონე პიროვნებები. შარშან ამის შედეგად იქნა მხილებული და დაკავებული სისხლის სამართლის დამნაშავენი, რომლებზეც საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული, 25 ალიმენტის ურჩი გადამხდელი და სახელმწიფო დავალიანების მქონე პიროვნება. ისე რომ, საპასპორტო რეჟიმის დაცვისათვის ეფექტიანი და გეგმაზომიერი მუშაობა დანაშაულის პროფილაქტიკის შესანიშნავი ფორმაა.

საპასპორტო რეჟიმის უხეში დარღვევა გარკვეულწილად უარყოფით გავლენას ახდენს საქალაქო მეურნეობის ნორმალურ მუშაობაზე, ჩვენს ეკონომიკაზეც. ძალიან გვიჩვენებს, რომ დღეს თბილისის სამრეწველო საწარმოებში მუშაობს დიდი რაოდენობის მუშა-მოსამსახურე, რომლებიც ქალაქში არ არიან ჩაწერილი. 1983 წელს შემოწმდა დედაქალაქში 281 სამრეწველო საწარმო, გამოვლინდა 871 ჩაუწერავი პიროვნება. აღსანიშნავია, რომ, ყველა საწარმო და დაწესებულება არ ყოფილა შემოწმებული. ჩვენთვის ცნობილია, რომ ბევრი სამრეწველო საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ იღებენ ჩაუწერავ მოქალაქეებს. საპასპორტო სისტემის წესების მასობრივ დარღვევებს მოსახლეობის მექანიკურ ზრდამდე მივყავართ, რაც შემდგომ საქალაქო მასშტაბის უფრო სერიოზულ პრობლემას ქმნის.

საპასპორტო რეჟიმის დარღვევათა საგრძნობი წილი უმაღლესი სასწავლებლის, ტექნიკუმისა და პროფტექსასწავლებლების მოსწავლეებზე მოდის. ამაზე მეტყველებს სსრ კავშირის სტატისტიკური სამმართველოს მოხსენებითი ბარათიც, სადაც მითითებულია, რომ საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დაახლოებით 73 პროცენტს არა აქვს ჩაწერა სწავლების ადგილის მიხედვით თბილისზე კი 60 პროცენტი მოდის. ეს კი საგულისხმო ციფრია.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მითითებისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს ბრძანებით ქალაქში მოეწყო საპასპორტო რეჟიმის დაცვისა და განმტკიცების ორთვიური, ამ მიმართულებით მთელი ორგანიზატორული მუშაობა მიმართული იყო ორჯონიკიძის, კალინინისა და საბურთალოს რაიონებისაკენ, რომლებშიაც ამ რაიონებშია განლაგებული ყველა უმაღლესი სასწავლებელი.

ორთვიურის დღეებში შემოწმდა 10 უმაღლესი და 51 საშუალო-ტექნიკური სასწავლებელი. გამოვლინდა ასობით ჩაუწერავი სტუდენტი და მოსწავლე. ამ მუშაობის პროცესში შედგა სტუდენტთა და მოსწავლეთა სიები, დაზუსტდა მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, რათა დახმარება გაეწიათ დროულად ჩაწერაში. ამის შედეგად დედაქალაქის ფიზიკური კულტურის, უცხო ენათა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში ჩაუწერავი დარჩა დაახლოებით 100 კაცი. 1983 წლის სექტემბერში კი უმაღლეს სასწავლებლების შემოწმებით გამოვლინდა რამდენიმე ათასი ჩაუწერავი სტუდენტი, მარტო პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ამავე პერიოდში გამოვლინდა 800 პირველკურსელი ჩაუწერავი სტუდენტი, დღეისათვის კი აქ ვერც ერთ სტუდენტს ვერ ნახავთ ჩაუწერავს. უნდა ითქვას, რომ ინსტიტუტის რექტორატმა, მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ, დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს. უნდა აღინიშნოს ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების კარგი მუშაობაც (უფროსი ე. ლაბაძე), რომელიც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას.

სტუდენტთა ჩაწერის მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა მხოლოდ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც დღეისათვის ჯერ კიდევ ჩაუწერავია ათასამდე პირველკურსელი. რა თქმა უნდა, ამ საქმეში ინსტიტუტს აქვს სიძნელეები: არ ყოფნის საცხოვრებელი ფართობი, საერთო საცხოვრებლები და ა. შ. მაგრამ არც სხვა ინსტიტუტებს აქვთ ამ მხრივ უკეთესი პირობები. ერთხელ გვქონდა ასეთი შემთხვევა — ჩვენთან განყოფილებაში დახმარებისათვის მოვიდნენ პირველკურსელთა აღელვებული მშობლები, გამოირკვა, რომ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დეკანატი, სესიებზე არ უშვებდა სტუდენტებს, ვისაც ჩაწერა არ ჰქონდა. ბუნებრივია, მათ სათანადოდ დავეხმარეთ. უნდა ითქვას, რომ ასეთი პრაქტიკა დიდი ხნის დანერგილია ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში და ამან გაამართლა კიდეც. კარგი იქნება, თუ თბილისშიც შემოვიღებთ ასეთ წესს, ვფიქრობთ, იგი უთუოდ დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტებში საპასპორტო რეჟიმის დაცვის პრობლემის გადაწყვეტაზე.

როგორია დღეისათვის რესპუბლიკის დედაქალაქში სტუდენტი ახალგაზრდობის ჩაწერის მდგომარეობა? შეიძლება ითქვას, რომ გამოვლენილ ჩაუწერავ სტუდენტთა და მოსწავლეთაგან, დღეისათვის ჩაწერილია დიდი უმეტესობა. ამას კი ხელი შეუწყო საბურთალოს (უფროსი გ. დოლიძე), გლდანის (უფროსი ლ. ბარბაქაძე), კალინინის (უფროსი დ. ვაშაკიძე) შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების საპასპორტო ქვეგანყოფილებათა დადებითმა მუშაობამ.

ორიოდე სიტყვა, უნდა ითქვას იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხებათ ჩვენს უბნის ინსპექტორებს, რომელთა მუშაობა არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს. ზოგიერთი უბნის ინსპექტორი ხშირად საპასპორტო წესებთან დაკავშირებული ელემენტარული საკითხების უცოდინარობას იჩენს, უგულგულოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, კარგად არ იცნობს მის სამოქმედო ტერიტორიას, ყოველივე ეს კი ხელს უწყობს საპასპორტო რეჟიმის დარღვევებს. შემჩნეულია ფაქტები, როცა 26 კომისრის, კიროვის, ოქტომბრის, კალინინის რაიონებში უბნის ინსპექტორები წლების მანძილზე არ ამოწმებენ საბინაო წიგნებს, სუსტად სწავლობენ მიკრორაიონების მოსახლეობის კონტინგენტს, ხშირად ფაბრიკა-ქარხნებში შემოწმებები ფორმალურია, ახდენენ საპასპორტო რეჟიმის გამოვლენილ დარღვევათა ფიქსაციას, მაგრამ არ ზრუნავენ მათ აღმოფხვრაზე.

რ. კობახიძე

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპასპორტო განყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი.

В ПОМОЩЬ ПОЖАРНИКАМ

НА КНИЖНУЮ ПОЛКУ

Книга А. П. Самонова «Психологическая подготовка пожарных» обобщает опыт и методику психологической подготовки пожарных в СССР, вскрывает резервы повышения боеготовности и улучшения качества тушения пожаров личным составом пожарной охраны и добровольных пожарных дружин. Научно-технический прогресс, химизация и автоматизация технологических процессов производств и сельского хозяйства изменяют традиционные схемы боевых ситуаций при тушении пожаров, усложняя процессы локализации и ликвидации пожаров и вынуждают действовать пожарных в экстремальных условиях. Эти обстоятельства во многом предопределяют необходимость повышения моральных и психологических качеств работающих на пожарах, ибо воздействие стресс-факторов современных пожаров (высокие температуры окружающей среды, опасности взрывов, угрожающие жизни концентрации дыма и ядовитых газов, шум сверх санитарных норм, работы на высотах и на больших площадях, работы под землей в ограниченных пространствах) создает непредвиденные трудности в работе пожарных, ухудшает их физическое и психическое состояние, а значит снижает эффективность тушения. Поэтому актуальность книги не вызывает сомнений.

А. Самонов, который уже много времени работает над проблемами психологической подготовки, в своей книге дает определенные рекомендации по методике проведения психологической подготовки личного состава пожарной охраны, используя при этом опыт пожарных пермского и минского гарнизонов, накопленный в последнее время.

В первой главе дается психологический анализ боевой деятельности пожарных, отмечается специфика их труда, комментируются многие стресс-факторы. Тем самым восполняется недостаток литературы, где профессия огнеборца зачастую освещается лишь с внешней, героико-романтической стороны. Заслуга автора в том, что он связал боевую деятельность пожарных с показателями их психологического состояния. При этом выделяется подготовительный, основной и заключительный этапы боевой работы.

Во второй главе автор обобщает существующие в теории и практике пожарного дела рекомендации по психологической подготовке пожарных. Он определяет психологическую подготовку, как «систему мероприятий, направленных на активизацию способностей и обеспечение состояния психической готовности пожарного к действиям в боевой обстановке тушения пожара» (стр. 8). Можно спорить с этим определением, но бесспорна его важность как рабочей конструкции для последующих теоретических разработок в анализируемой области пожарного дела. Заслуживает также одобрения и попытка автора дать понятие общей и непосредственной психологической подготовки.

Исследуя вопросы общей психологической подготовки, А. Самонов подчеркивает ее тесную взаимозависимость с политической, физической, пожарно-тактической, пожарно-строевой и другими видами специальной подготовки пожарных.

В третьей главе излагаются особенности психологической подготовки личного состава пожарных подразделений по роду выполнения боевых функций. Здесь анализируются и обобщаются опыты психологической подготовки руководителя тушения пожара, газодымозащитника.

Автор книги рассматривает также проблему психологической совместимости членов коллектива, которая влияет на характер взаимоотношений людей. Говоря о достоинствах книги А. Самонова, нельзя не отметить и того, что она оставляет еще много нерешенных и спорных вопросов по психологической подготовке пожарных. Сделан лишь первый шаг, проблема требует новых исследований.

Н. АЗАРКИН,
кандидат юридических наук.

ოპერატიულად, მაგრამ...

დღე-ღამეზე ნაკლები დასჭირდათ ბოლნისის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებს სისხლის სამართლის დანაშაულის — პირადი საკუთრების ქურდობის გასახსნელად.

ოცდაათიოდე წლის ნატო კასუმოვამ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საპყრობილეში გაატარა, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. იგი ივნისში განთავისუფლდა კოლონიიდან. არსად არ მუშაობდა, ქუჩაში დაეხეტებოდა... ერთხელ, დილით, მან, „ქიგმელიდან" მოიპარა მოქალაქე ღ-ს საბუთები.

— ადრე დილა იყო და თვითმხილველების დახმარების იმედი არ უნდა გვქონოდა, — თქვა ბოლნისის შს რაიგანყოფილების, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ოპერრწმუნებულმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა თემურ გუთიაშვილმა. — და მაინც, მე და მილიციის ლეიტენანტმა ნოდარ აპასოვმა, გამოვკითხეთ ყველა შესაძლებელი მოწმე და საეჭვო პირი. საღამოსათვის იგი უკვე დავაკავეთ.

რედაქციისაგან: ჩვენ კითხვით მივმართავთ უბნის ინსპექტორს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ცხოვრობდა სასჯელმოხდილი ნ. კასუმოვა. რატომ არ დაინტერესდა რას საქმიანობდა, რატომ არ იყო იგი ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

ვიმედოვნებთ ბოლნისის შს რაიგანყოფილება სათანადოდ იმსჯელებს მომხდარი ფაქტის შესახებ და პასუხს აცნობებს რედაქციას.

ФОТОИНФОРМАЦИЯ

Старший инспектор ДПС ГАИ УВД г. Кутаиси лейтенант милиции Зураб Ангиевич Лабадзе более шести лет работает в органах внутренних дел. За это время он зарекомендовал себя как дисциплинированный и исполнительный сотрудник, за что неоднократно поощрялся руководством подразделения.

НА СНИМКЕ: **лейтенант милиции З. Лабадзе проверяет документы у старшины ДПС Вашакидзе М. О.**

ВСЕГО СУТКИ

ПОНАДОБИЛИСЬ СОТРУДНИКАМ МИЛИЦИИ, ЧТОБЫ РАСКРЫТЬ ОПАСНОЕ ПРЕСТУПЛЕНИЕ

Спор между Г. Амазяном и В. Матнашвили возник неожиданно и омрачил настроение гостей. А закончился он дракой. Когда же подвыпивший В. Матнашвили выбежал из дому, все облегченно вздохнули. Однако В. Матнашвили вскоре вернулся и вывел Г. Амазяна на улицу. Вот тут-то и случилось непоправимое.

«Из поселка Цхнети в горбольницу с огнестрельным ранением в область головы был доставлен гражданин Г. Амазян, который спустя несколько часов скончался».

Такое сообщение поступило в дежурную часть II отделения Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси из 1-й городской клинической больницы. В считанные минуты была сформирована оперативная группа в составе начальника 2-го отделения Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси, капитана милиции М. Хуцишвили, старшего оперуполномоченного лейтенанта милиции Р. Каливидзе. Возглавил группу начальник Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси, капитан милиции Н. Мгалоблишвили.

Выдвигались и опровергались версии, тщательно проверялись детали, устанавливались очевидцы того злосчастного дня, допрашивались свидетели. И ровно через сутки преступление было раскрыто. Убийца, 32-летний Вахтанг Матнашвили, был задержан.

За проявленную находчивость, решительность и высокое профессиональное мастерство Почетной грамотой МВД Грузинской ССР награждены капитаны милиции Н. Мгалоблишвили и М. Хуцишвили, а лейтенант милиции Р. Каливидзе и водитель-милиционер Д. Окиташвили награждены денежными премиями.

А. АРАМАДЗЕ.

წაგებული თამაში

მესამე შეწყდა.
უცნობმა ელისო სუფრასთან მოიყვანა.
ვაჟებმა მას ჭიქა შეაწოდეს. უცნობმა ძალიან ადღეგრძელა, ჭიქა გამოცალა და დაუმატა:
— მეგობრებო! ... კაბინეტში სუფრა გაშალეთ, გთხოვთ მეწვიოთ!
— სიამოვნებით! — ამბობს ელისო.
— გმადლობთ! — კმაყოფილებას ვერ ფარავს ვაჟები.

[illegible]

ბრ. ვავაძე.

(გაგრძელება იქნება).

კორესპონდენტებიდან გვატყობინებენ

[illegible]

იურისტები გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს

[illegible]

(საქინფორმი)

А ТЕЛЕФОН ВСЕ МОЛЧИТ...

Фельетон

Не встретишь, пожалуй, человека, который бы не пользовался услугами телефонной связи. Да, телефон в наш век уже не роскошь, а жизненная потребность каждого человека. Надо вам, к примеру, срочно поговорить с Москвой, или скажем с каким-нибудь другим городом — к вашим услугам телефон. Нужно назначить деловое свидание, узнать данные о ком-нибудь — пожалуйста, звоните, узнавайте на здоровье. Телефон сэкономит ваше время и облегчит работу. И трудно представить, что телефон вдруг может испортиться. И не на день, не на два, а на целых... два месяца.

...Был у нас в редакции телефон. Работал хорошо, «усердно» служил своим «хозяевам». Но в один прекрасный день он умолк. Вначале мы не испугались, такое бывало не раз.

— Позвоним в бюро ремонта и нам его мигом исправят — так решили мы и позвонили. Прошел день, два, неделя, месяц в ожидании, а телефон все молчал. Мы не на шутку встревожились. Теперь к «телефонной» проблеме подключились и другие сотрудники редакции, но безрезультатно. Пока мы звонили, просили, изыскивая все новые и новые пути для достижения «цели», телефон, тем временем, упорно молчал. А дни проходили в долгом ожидании.

Наверное, мы не стали бы столько внимания уделять этой проблеме, если бы она являлась исключением. Сплошь и рядом можно услышать сетования по поводу плохой работы средств связи. Не верите? А в этом нетрудно убедиться, достаточно подсесть к телефону и набрать несколько номеров. Набираем цифру и хотим заказать Болнисский РОВД. В трубке раздаются длинные гудки и никакого ответа. Напрасно мы ждем Болниси. Устав ждать, решили оставить Болниси в «покое».

Зазвонил телефон.

— Вы представить себе не можете, — послышался взволнованный голос на другом конце провода, — попросила Цхалтубо, и что же вы думаете, соединили меня с Батуми. Вот ведь как работает наш коммутатор.

Мы не удивились нисколько, ибо несколько раз сами становились свидетелями козней телефонии.

...Как-то по заданию редакции мне понадобилось срочно уточнить данные у начальника Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси. Звоню в дежурную часть Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси и прошу соединить с начальником отдела. И что вы думаете: вместо начальника Орджоникидзевского РОВД на проводе по непонятным мне причинам оказался... начальник РОВД им. 26 комиссаров (?!). И тут не обошлось без «волшебства» средств связи.

Что ни говорите, а телефоны у нас в министерстве работают из рук вон плохо. Но вот по этому поводу хотелось узнать у связистов и, воспользовавшись моментом, спросить: «До каких пор в редакции будет молчать наш телефон?»

А. СААКАДЗЕ.

მოზაიკა

[illegible]

სპორტი

სტუმრად აჭარაში

[illegible]

ბ. თათიშვილი

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

[illegible] Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, [illegible]
[illegible] УЭ 09985